


ქიმიის დავალებათა ნიმუშები

1. რომელი ქიმიური ელემენტია გამოსახული საბავშვო სადეჭი რეზინის ეტიკეტზე?



- ა) კალიუმი
- ბ) კალციუმი
- გ) კადმიუმი
- დ) კალა

2. მარმარილოს ძირითადი შემადგენელი ნაწილია ნივთიერება, რომლის ფორმულაა:
CaCO₃
ეს ნივთიერება მიეკუთვნება


- ა) ფუძე ოქსიდებს
- ბ) მჟავა ოქსიდებს
- გ) ფუძეებს
- დ) მარილებს

3. რომელია აზოტ(IV)-ის ოქსიდის ქიმიური ფორმულა?


- ა) NO
- ბ) NO₂
- გ) N₂O
- დ) N₂O₅

4. რამდენი ელექტრონი აქვს ფოსფორის ატომს გარე ელექტრონულ შრეზე?

- ა) 1
- ბ) 3
- გ) 5
- დ) 7




5. მოცემულია რეაქციის ტოლობა:




ტოლობაში გამოტოვებული ნაერთის ფორმულა იქნება

- ა) BaSO_3
- ბ) Ba_2SO_3
- გ) BaSO_4
- დ) Ba_2SO_4

6. A, B, C და D ელემენტებს უმაღლეს ჟანგბადნაერთებში ერთნაირი ვალენტობა აქვთ. როგორია პერიოდულ სისტემაში ამ ელემენტების ურთიერთგანლაგება?



7. ჰეპტანის წვის რეაქციაა:



(რეაქცია არ არის გათანაბრებული).


გათანაბრების შემდეგ ჟანგბადის კოეფიციენტი იქნება

- ა) 4
- ბ) 8
- გ) 11
- დ) 22

8. ნაერთში MgO ჟანგბადის მასური წილია

- ა) 20%
- ბ) 40%
- გ) 50%
- დ) 60%

9. მოცემულია ჟანგვა-აღდგენის რეაქცია:



ამ რეაქციის დროს იჟანგება, ხოლო აღდგება.

- ა) ალუმინი / ქლორი
- ბ) ალუმინი / წყალბადი
- გ) ქლორი / ალუმინი
- დ) წყალბადი / ალუმინი


10. რომელ ფორმულებშია სწორად მითითებული გოგირდის ჟანგის ხარისხი?




- ა) I და III
- ბ) I და IV
- გ) II და III
- დ) II და IV

11. როგორი სახის ბმის წარმოქმნაა ნაჩვენები მოცემულ სქემაზე?

- ა) იონური ბმის
- ბ) წყალბადური ბმის
- გ) არაპოლარულ-კოვალენტური ბმის
- დ) პოლარულ-კოვალენტური ბმის



12. ჭარბ მარილმჟავაში მარმარილოს ნატეხი მთლიანად იხსნება და შეინიშნება აირის გამოყოფა.
 ექვევით, გვაქვს მარმარილოს 3 სხვადასხვა ზომის ნატეხი.




მოცემულია 3 შემთხვევა:

- I – მარილმჟავაში მოთავსებულია A ნატეხი
- II – მარილმჟავაში მოთავსებულია a_1 ნატეხი
- III – მარილმჟავაში მოთავსებულია a_1 და a_2 ნატეხები.

რომელ შემთხვევაში იქნებოდა აირის გამოყოფის სიჩქარე უფრო მაღალი?

- ა) I შემთხვევაში
- ბ) II შემთხვევაში
- გ) III შემთხვევაში
- დ) სამივე შემთხვევაში ერთნაირი სიჩქარით გამოიყოფოდა

13. გრაფიკზე მოცემულია ქიმიური რეაქციის დროს A, B და C ნივთიერებების კონცენტრაციის დამოკიდებულება დროზე:



ამ გრაფიკიდან გამომდინარე, ქიმიური რეაქციის დროს:

- ა) A-დან მიიღება B, ხოლო C კატალიზატორია
- ბ) A-დან მიიღება C, ხოლო B კატალიზატორია
- გ) C-დან მიიღება A, ხოლო B კატალიზატორია
- დ) C-დან მიიღება B, ხოლო A კატალიზატორია

14. ელექტროსადენების აალებისას ხანძრის ჩასაქრობად იყენებენ სპეციალურ ცეცხლმაქრს, რომლის ბალონშიც დაჭირხნული აირია.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ეს აირი?




- ა) წყალბადი
- ბ) ჟანგბადი
- გ) ნახშირბად(II)-ის ოქსიდი
- დ) ნახშირბად(IV)-ის ოქსიდი

15. ნატრიუმის ნაჭერი წყალში ჩააგდეს. რეაქციის შემდეგ ხსნარში ჩააწვეთეს ინდიკატორი ლაკმუსი. ხსნარი გალურჯდა.

ჩამოთვლილთაგან რომელი ნივთიერების წარმოქმნამ გამოიწვია ხსნარის ასეთი შეფერვა?

- ა) მჟავა ოქსიდის
- ბ) ტუტის
- გ) ფუძე მარილის
- დ) საშუალო მარილის



16. მოცემულია ქიმიური რეაქცია:



რამდენი მოლი მარილი მიიღება, თუ რეაქციაში შევა 1 მოლი NaOH?





- ა) 1/3 მოლი
- ბ) 2/3 მოლი
- გ) 1 მოლი
- დ) 3 მოლი

17. მოცემულია ორი ალკანი:
რას წარმოადგენს ისინი
ერთმანეთისთვის?




- ა) იზომერებს
- ბ) ჰომოლოგებს
- გ) იზოტოპებს
- დ) ალოტროპებს

18. ნახშირბადოვანი ჩონჩხის რომელი სქემატური გამოსახულება შეესაბამება აცეტილენის რიგის ნახშირწყალბადს?


- ა) 
- ბ) 
- გ) 
- დ) 

19. მოცემულია ერთ-ერთი ნახშირწყალბადის ბურთულოვანი მოდელი: რომელი ზოგადი ფორმულის მქონე ნახშირწყალბადებს მიეკუთვნება ეს ნაერთი?



- ა) C_nH_{2n+2}
- ბ) C_nH_{2n}
- გ) C_nH_{2n-2}
- დ) C_nH_{2n-6}

20. ჩამოთვლილთაგან რომელია არომატული ამინი?

- ა) NH_3
- ბ) CH_3NH_2
- გ) $C_2H_5NH_2$
- დ) 

სწორი პასუხები:

1 - ბ	11 - გ
2 - დ	12 - გ
3 - ბ	13 - გ
4 - გ	14 - დ
5 - გ	15 - ბ
6 - ბ	16 - ა
7 - გ	17 - ა
8 - ბ	18 - დ
9 - ბ	19 - ა
10 - დ	20 - დ